გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 214

2023 წლის 10 ნოემბერი

გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით გორის მუნიციპალიტეტში იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ ახრისის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
2	გოგებაშვილის პარალელური სანაპირო (პუშკინი-ცხინვალის მაგისტრალის დამაკავშირებელი და პუშკინი პაპიტაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი) სამუშაოები	
3	ბაქოს ქუჩის რეაბილიტაცია	
4	გვერდწითელის ქუჩის (ყიფიანის ქუჩიდან ნადირაძის ქუჩამდე) რეაბილიტაცია	
5	ალექსანდრე პუშკინის ქუჩის რეაბილიტაცია	
6	გელა თუთარაშვილის და დიმიტრი გიგაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	
7	სოფელ ბროწლეთში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
8	სოფლების ტყვიავი-მარანას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	
9	სოფელ მუმლაანთკარის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
10	სოფელ ხიდისთავში შიდა საუბნო გზების მოწყობა	
11	სოფელ საქაშეთის დევნილთა დასახლებაში შიდა საუბნო გზების მოწყობა	
12	სოფელ ბერბუკის შიდა საუბნო გზების მოწყობა	
13	სოფელ ფხვენისში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
14	სოფელ ქიწნისის მეურნეობის გზის რეაბილიტაცია	
15	ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	
16	მგალობლიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	
17	სოფელ არაშენდის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	
18	ოთარ ჩხეიძის ქუჩის (ბაგრატიონის ქუჩიდან აღმაშენებლის გამზირამდე) რეაბილიტაცია	
19	სოფელ ფლავში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	

გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

საქართველო, გორის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, GORI MUNICIPALITY CITY HALL
218086087